




ბირთვული კვლევების გაერთიანებული ინსტიტუტის პროექტი შესრულებული საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში

ბირთვული კვლევების გაერთიანებული ინსტიტუტსა (ქ.დუბნა) და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის დადებული JINR № 130-2016-2 ხელეკრულების საფუძველზე განხორციელდა მრავალპროფილიანი NICA-MPD დეტექტორის ტრანსპორტირების სისტემის გაანგარიშების და დაპროექტების სამეცნიერო - საკონსტრუქტორო სამუშაო, რაც მიზნად ისახავდა 1000 ტონიანი დეტექტორის აწყობისა და მომზადების ზონიდან გადაადგილებას 28 მეტრის მანძილზე ამაჩქარებლის სხივთან თანხვედრის სამუშაო პოზიციაში, 0,5მმ-ის ცდომილებით. გარდა აღნიშნულისა, დეტექტორის გადაადგილებისას მასზედ უნდა იყოს დამონტაჟებული ორი 100 ტონის წონის პოლუსი. დასახული ამოცანის გადაწყვეტა მოხდა მართვადი ჰიდრომექანიკურ ამძრავთა სისტემის გამოყენების საფუძველზე, რისთვისაც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეცნიერების მერ დაპროექტდა გამოყენებული ჰიდროამძრავის ორგინალური კონსტრუქციის კვანძები და ასევე დეტექტორისა და მისი პოლუსების გადაადგილებისათვის განკუთვნილი მართვის სისტემა. ჩატარებულმა სამეცნიერო-საპროექტო სამუშაოებმა სრულად უზრუნველყო დამკვეთის მოთხოვნების შესრულება.



მრავალპროფილიანი დეტექტორი და პოლუსები



დეტექტორის გადაადგილება საამწებრო-მსამზადებელი ადგილიდან სამუშაო ზონამდე.